**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო**
**National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia**

KA990145643751821

**№17/1866** **03 / ივნისი / 2021 წ.**

შპს „გეო+ეკო სერვისი“ (ს/კ 406163404)
დირექტორს, ბესიკ ცხვირავაშვილს
მის: ქ. თბილისის, ნაკადულის I შეს. სახ. 6, ბ. N30
ტელ: 599027042
ელფოსტა: beso.ckhviravashvili@mail.ru

ასლი: სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტო

ბატონო ბესიკ,

თქვენი ა/წ 24 მაისის წერილის #1858 პასუხად, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ კრწანისის მიმდებარე ტერიტორიაზე (GPS კოორდინატები და რუკა იხ. დანართის სახით) სასარგებლო წიაღისეულის (თიხა-თაბაშირი) მოპოვებას და საპროექტო არეალში არქეოლოგიური ძეგლების/ ობიექტების გამოვლენისა და დაცვის მიზნით კვლევის ჩატარების მოთხოვნას, გაცნობებთ, რომ სააგენტოს არქეოლოგიის სამსახურის თანამშრომლების მიერ საპროექტო არეალის და მიმდებარე ტერიტორიის ზედაპირული დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ მიწის ნაკვეთზე არ ფიქსირედება ხილული კულტურული მემკვიდრეობის ან/და არქეოლოგიური ძეგლი და არტეფაქტები.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გეძლევათ დადაებითი დასკვნა დაგეგმილი სამუშაოების წარმოების თაობაზე, დანართში მითითებული გეოგრაფიული კოორდინატების ფარგლებში.

აქვე გაცნობებთ, რომ საპროექტო არეალის საზღვრების ნებისმიერი ცვლილება უნდა შეთანხმდეს სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

აღსანიშნავია, რომ სამუშაოთა მიმდინარეობის დროს არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, უნდა შეწყდეს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (ამ ეტაპზე-სააგენტოს).

დანართი 1 გვერდი (საპროექტო არეალის ტოპორუკა და გეოგრაფიული კოორდინატები)

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე — ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად — დავით ლომიტაშვილი